# გაუმარჯოს დიდ ოქტომბერს, რომლითაც დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა — მსოფლიოს რევოლუციური განახლების, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქა!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 221 (4731)

1972 წ. 7 ნოემბერი, სამშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან





გ. იაშვილის ნახატი.

## საიუბილეო საჩუქარი

სპორტსაზოგადოება „განთიადის" ცენტრალურმა საბჭომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 55-ე წლისთავისთვის ვადამდე შეასრულა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების წლიური გეგმის ყველა მაჩვენებელი.

გეგმის შესაბამისად, მომზადდა 2 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. მომზადებულია, აგრეთვე, 85 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 28-ისა, 450 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი (გეგმით — 432), 26092 დანარჩენი თანრიგების სპორტსმენი (გეგმით — 25602).

გეგმების შესრულება გრძელდება.

ა. გიორგობიანი,
სპორტსაზოგადოება „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.

## ახალი ამბები — 72

● ტოლიატი, 5 ნოემბერი. მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტურში ე. რუბცოვამ მოუგო ლ. შადურას, ა. კისლოვამ — ო. ანდრეევას, ი. ლევიტინამ — ვ. კოზლოვსკაიას; ყაიმზე შეთანხმდნენ ნ. შელიანიკოვა — ლ. საჟნინა; ლ. იდელჩიკი — ა. მკრტჩიანი, ლ. შჩერბინა — ა. ეპშტეინი. სამი პარტია არ დამთავრებულა.

● ტამპერე, 5 ნოემბერი. აქ გაიმართა ფინეთისა და სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 4:1.

● კიევი, 5 ნოემბერი. ადგილობრივი სპორტის სასახლის რინგზე ჩატარდა მოკრივეთა ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობდა მოსკოვისა და 6 მოკავშირე რესპუბლიკის 186 წარმომადგენელი. წარმატებით გამოვიდნენ მასპინძლები, რომლებმაც შვიდი პირველი ადგილი დაიკავეს.

● ბუდაპეშტი, 5 ნოემბერი. მძლეოსნობაში ევროპის თასის გათამაშება გაიმართება შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგში მოეწყობა. 7 სექტემბერს იასპარეზებენ ქალები, მეორე დღეს — ვაჟები. იუნიორები ერთმანეთს შეეჯიბრებიან 24-26 აგვისტოს დუისბურგში (გფრ). კონტინენტის ჩემპიონატი დახურულ დარბაზში გაიმართება 10-11 მარტს როტერდამში (ჰოლანდია). ასეთი გადაწყვეტილება მიიღო უნგრეთის დედაქალაქში ჩატარებულმა მძლეოსნობის ევროპული ასოციაციის საბჭოს სხდომამ.

● მოსკოვი, 5 ნოემბერი. პიონერთა სასახლეების მოჭადრაკეთა გუნდების საკავშირო შეჯიბრებაში, სადაც დიდოსტატებიც მონაწილეობენ, გაიმართა მეოთხე ტური, რომელიც ასეთი შედეგებით დამთავრდა: ზრონშტეინი — რიგა — 3,5:2,5, ტალი — კიევი — 5,5:0,5, პეტროსიანი — ლენინგრადი — 4,5:1,5, სპასკი — თბილისი — 4:0, სმისლოვი — ჩელიაბინსკი — 4:1, კარპოვი — მოსკოვი — 2,5:1,5.

ჩარჯოვის საკრაქტორო ქარხნის სპორტკლუბმა ვადამდე შეასრულა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისთვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. საიუბილეო წელს ხუთი ტრაქტორმშენებელი სპორტის ოსტატი გახდა, ათეულმეტი — ოსტატობის კანდიდატი. 2 ათასზე მეტმა მუშამ სპორტული თანრიგები მიიღო, ხოლო 800 კაცმა მშდ კომპლექსის ნორმატივები ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშნებზე ჩააბარა. მომზადდა 1500 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და მსაჯი.

მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება გრძელდება. სტარტზე გამოდის ათობით ტრაქტორმშენებელი. მათ შეჯიბრების ჩატარებაში ეხმარებიან სპორტკლუბის აქტივისტები: მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, ველოსიპედისტი რ. ობოდოვსკაია, პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი კრივში ა. ოველჩუკი, ქვეყნის პირველობის პრიზიორი მძლეოსან იუნიორთა შორის ნატალია ბორმელუკი და ბევრი სხვა. (საქინი).

## სადღესასწაულო სპორტული [illegible]

## ჭადრაკი

## ვრნიაჩკა-ბანიაში

1969 წელს ჭადრაკში ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის გათამაშება შემოიღეს. ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ამ ტურნირს მუდამ იუგოსლავიის აგარაკი ვრნიაჩკა-ბანია მასპინძლობს ყოველი შემოდგომის მიწურულს.

აქამდე თასი სამჯერ გათამაშდა. მისი პირველი მფლობელია მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი. მეორე თასი, 1970 წელს, აგრეთვე ქართველმა საერთაშორისო ოსტატმა ნ. ალექსანდრიამ მოიპოვა (ამ ტურნირში ნონა არ მონაწილეობდა). 1971 წლის ტურნირში ნ. გაფრინდაშვილმა წარუმატებლად ითამაშა და თასი უნგრელმა საერთაშორისო ოსტატმა ჟ. ვერეცმ დაისაკუთრა.

და აი, იუგოსლავიის ჭადრაკის ფედერაციამ თასის მეოთხე გათამაშებაზე მიიწვია ნ. გაფრინდაშვილი და ნ. ალექსანდრია.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ნ. გაფრინდაშვილმა განაცხადა:

— თასისთვის ხალისიანად ვითამაშებ. ვრნიაჩკა-ბანიასთან ბევრი კარგი მოგონება მაკავშირებს. 1961 წელს სწორედ იქ მოვიპოვე მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის თამაშის უფლება. მინდა წლევანდელი წელი კარგად დავამთავრო: წლეულს მესამედ შევინარჩუნე მსოფლიო ჩემპიონის ტიტული კუშნირთან მატჩში გამარჯვებით და ასევე მესამედ — საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში, — ოლიმპიური ჩემპიონის სახელი ქალთა V საჭადრაკო ოლიმპიადაში, რომელიც ამას წინათ სკოპლეში გაიმართა.

ტურნირში ბევრი ძლიერი ოსტატის მონაწილეობაა მოსალოდნელი, ამიტომ სათანადო მომზადებაც დაგვჭირდება. ნანა ალექსანდრია ამჟამად კისლოვოდსკშია, სადაც მისი მწვრთნელი დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე მისვლია ჩიგორინის სახელობის მოძღვნილ საერთაშორისო ტურნირში თამაშობს. ამ ტურნირზე დასწრება, რა თქმა უნდა, ნანასთვის დიდად სასარგებლოა. მას ზუსტად ერთი წელია შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია. არ დაგავიწყდეთ, გაისად ნანამ უნდა ითამაშოს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა საზონათაშორისო ტურნირში, სადაც პერსონალურადაა მიწვეული.

ერთი სიტყვით, ვრნიაჩკა-ბანიის ტურნირი შეიძლება მოჭადრაკე ქალთა წლევანდელი სპორტული სეზონის.

თ. ნინოშვილი.

### ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მეგობრული თამაშები

# შვიდიდან ოთხი

ვარაუდი არ გამართლდა: სომხეთის იუნიორთა გუნდი მინგეჩაურში აკადემიურ ნიჩბოსნობაში საასპარეზოდ არ გამოცხადდა. სარბიელს მარტო მასპინძლის აზერბაიჯანის ნაკრები და საქართველოს გუნდი შერჩნენ. რბოლები, რომ უფრო საინტერესო ყოფილიყო, მასპინძლებმა პირად პირველობაში საასპარეზოდ თითქმის ყველა გაცურვაში კიდევ თითო ეკიპაჟი გამოიყვანეს, მაგრამ მათს საქმეს ამანაც ვერ უშველა: შვიდი კლასის ნავებით შეჯიბრებაში საქართველოს ნიჩბოსნებმა ოთხი მოიგეს და გუნდური გამარჯვებაც დაისაკუთრეს.

— როგორც ცნობილია, თამაშებში ყველა სახეობაში იუნიორები გამოდიან, რაც ჩვენი რესპუბლიკების უფროსთა ნაკრებისთვის რეზერვის აღზრდის საუკეთესო საშუალებაა. საქართველოს სპორტსმენებმა ბოლო წლებში საკავშირო სარბიელზე აღიარება მოიპოვეს, მაგრამ სახელს შენარჩუნება უნდა. ურეზერვოდ საქმე წინ ვერ წავა. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის მონაწილე საქართველოს ნაკრების ეკიპაჟები დაიშალა — ო. ქაფიანიძე და გ. ნიკურაძე სსრ კავშირის ნაკრებში ჩაირიცხნენ, ა. კაპანაძემ კი ნიჩბოსნობას თავი დაანება.

ერთი სიტყვით, საზრუნავი ბევრი გვაქვს. გაისად მოეწყობა სსრ კავშირის ახალგაზრდული თამაშები, რომელშიც საქართველოს კოლექტივიც გამოვა. მერე სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადისთვისაც უნდა ვემზადოთ. ვფიქრობ, სპარტაკიადისთვის აკადემიურ ნიჩბოსანთა ნაკრები 50-60 პროცენტით მაინც გაახალგაზრდავდება. ეს ახალგაზრდობა აქედანვე უნდა ვეძებოთ. სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტას ემსახურებოდა ამას წინათ ფოთში გამართული სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების რესპუბლიკური სპარტაკიადაც და მინგეჩაურის სტარტებიც, — გვიამბობს საქართველოს ნიჩბოსანთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ო. ბერელიძე. — ახალგაზრდულ ნაკრებში ნიჭიერმა სპორტსმენებმა მოიყარეს თავი, მაგრამ გუნდს ჯერჯერობით საერთო ფიზიკური მომზადება აკლია და ეს მწვრთნელთა უპირველესი ზრუნვის საგნად უნდა იქცეს. გუნდის შედგენისას ნათელი გახდა, რომ ჭაბუკების მომზადების დონე ერთნაირი არ იყო, რაც საქმისადმი ზოგიერთი მწვრთნელის არაკვალიფიციურ დამოკიდებულებას გვიდასტურებს. მწვრთნელებს ხომ აღზრდის ერთიანი მეთოდიკა გვაქვს და სპორტსმენთა მომზადების დონეც თანაბარი უნდა იყოს. დასამალი არც ისაა, ზოგიერთი მწვრთნელი ნაკრების წევრებთან მუშაობას რომ გაურბის.

— ინვენტარზე რას იტყვით?

— ნაკრების წევრებს ინვენტარი საკმარისად აქვთ, მაგრამ ადგილებზე, საიდანაც ნაკრების წევრებს ვღებულობთ, ამ მხრივ საქმე რიგზე ვერ არის. ქუთაისში, ფოთში, მცხეთაში სპორტსმენებს ინვენტარი არ ჰყოფნით. თბილისში კი სხვა ხელის შემშლელმა მიზეზმა იჩინა თავი — ორთაჭალჰესის გახსნის გამო წყლის დონემ დაიწია, ამიტომ სავარჯიშოდ თბილისის ზღვაზე გადავსახლდით, ქალაქიდან ზღვამდე მიღწევა კი პრობლემაა.

... ახლა რამდენიმე სიტყვა მინგეჩაურის სტარტებზე. ვიდრე ტექნიკურ შედეგებს გაგაცნობდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ მინგეჩაურში სტარტი დინების საწინააღმდეგოდ მოეწყო, ქროდა ბირქარი. ყოველივე ეს რბოლას აძნელებდა. და მაინც, ყველა გაცურვაში დაძაბული ბრძოლის მოწმენი ვიყავით.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ერთადგილიანებითა და უმესაჭო ოთხადგილიანებით რბოლები. ერთადგილიანი ნავებით შეჯიბრებაში ქუთაისელ სპორტის ოსტატობის კანდიდატ გ. აბაზაძეს ჭაბუკთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონთან, სპორტის ოსტატ ა. მაკაშინთან ჰქონდა საქმე. მეტოქენი თითქმის 150 მეტრზე ერთად მიცურავდნენ. მაკაშინი რამდენიმეჯერ შეეცადა დაწინაურებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მერე, ეტყობა, დაძაბულობამ დაღალა და ტემპს უკლო, რითაც აბაზაძემ ისარგებლა და სწრაფად დაწინაურდა. გამარჯვებაც მას დარჩა — 8.41,8. მაკაშინის დროა 10.21,4.

აზერბაიჯანის კოლექტივმა რევანში თითქმის ანალოგიურ ბრძოლაში უმესაჭო ოთხიანებით რბოლაში აიღო. მასპინძლები და საქართველოს წარმომადგენლები (ფოთელი პირველთანრიგოსნები ს. ურიდია, თ. ჯანჯღავა, რ. გაბელაია და ნ. რიბალკო) 1700 მეტრს თითქმის მხარდამხარ მიდიოდნენ, მერე აზერბაიჯანის ეკიპაჟის (7.16,2) სპურტი ვერ შეამჩნიეს და დამარცხდნენ — 7.43,8.

რვაადგილიანებით ტურნირში სტუმრებმა (ს. ოდიშარია, ა. იმნაძე, ა. გარდინინი, ა. ჩირაძე, გ. გაბუნია, ზ. შიოშვილი, [illegible] შვილი, მესაჭე — მეორე კლასის მესაჭე ა. ოდილაძე) თავიდანვე ხელთ იგდეს ლიდერობა და მეტოქეს ფინიშთან თითქმის 25 წამით მიასწრეს. ჩვენების შედეგია 6.38,8.

ასევე იოლად გაიმარჯვა ფოთელი პირველთანრიგოსნების ა. არჩაიას, თ. ცინცაძის, ვ. თოფურიასა და ლ. მესხის (პირველი კლასის მესაჭე ვ. კუპრეიშვილი) ნავმა — 7.48,0. აზერბაიჯანის ნავმა კი იმავე 2000 მეტრის გავლას 8.06,8 მოანდომა.

**ო. ივლოშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

მინგეჩაური.

### სხვა ტექნიკური შედეგები

**ორადგილიანი გასაშლელი მესაჭით.** საქართველო (ქუთაისელი სპორტის ოსტატობის კანდიდატები გ. სინათაშვილი, ნ. დიხამინჯია, პირველი კლასის მესაჭე თბილისელი ს. სოგრატოვი) — 8.57,2, აზერბაიჯანი — 9.22,4. **უმესაჭო ორიანი.** აზერბაიჯანი (ვ. ციიავკინი, ბ. მალაიანი) — 8.47,2, საქართველო (მცხეთელები ზ. მიქაია, გ. კაკაბაძე) — 8.53,7. **ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი.** აზერბაიჯანი (ვ. სკუბოვი, ა. ბელოვი) — 7.41,4, საქართველო (მცხეთელი გ. სურამულაშვილი, ფოთელი ვ. უფლისაშვილი) — 7.56,2.

# შეხვედრა წარსულთან

— ვახტანგ ნადირაძე, — გამეცნო ჭარმაგი, ჩასხმული, შუა ხანს გადაცილებული კაცი და ხაგრად ჩამომართვა ხელი.

მე უკვე არ მიკვირს ასეთი „მეტამორფოზა", რადგანაც კარგა ხანია ვიცი — მილიონებისთვის ვახტანგ ვრონსკად ცნობილი, სახელმოხვეჭილი ქორეოგრაფი ჩვენი თანამემამულეა.

ვახტანგ ნადირაძე დარბაისლური, თავანკარა ქართულით ლაპარაკობს. ალაგ-ალაგ მის მეტყველებაში გაიელვებს ოციანი წლების თბილისური კილოკავი.

აქ, თბილისში დაიბადა და სიყმაწვილის წლები გაატარა, აქ შეიყვარა მშობლიური ენა, თბილისის ერთ-ერთ დარბაზში თანატოლებთან ერთად მოსინჯა ძალა ტანვარჯიშში.

ეს იყო დიდი ხნის წინათ. ცნობისმოყვარე ყმაწვილს ყველაფერი იზიდავდა და აინტერესებდა. ფეხით ჰქონდა დავლილი თბილისის ყველა უბანი და შემოგარენი. ტოლ ბიჭებთან ერთად თბილისის რეალურ სასწავლებელში სწავლობდა.

მაშინ „მოდად" იყო გადაქცეული ტანვარჯიში. ეს გატაცება დაახლოებით ფეხბურთისადმი დღევანდელი ახალგაზრდების სიყვარულსა და ლტოლვას შეიძლება შეედაროს. ვარჯიშობდნენ არა მარტო დარბაზებში და სპორტულ მოედნებზე, არამედ ეზოებში, მინდვრად, ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა თვითნაკეთი ტანვარჯიშული იარაღების დადგმა-გამართვა.

ვახტანგიც თბილისელი ბიჭი იყო და, რა თქმა უნდა, საერთო სიყვარულს ვერც ის გადაურჩა. თანაც, ტანვარჯიში, რომელიც იმ დროს გიმნასტიკის სახელით იყო ცნობილი, სრულუფლებიან სასწავლო დისციპლინად ითვლებოდა.

სიყვარულს საფუძველი სჭირდება. ნოყიერ ნიადაგში ჩაგდებული თესლი მალე იხარებს. ოღონდაც ყოველივე ეს გონიერი, განსწავლული და საქმეში ღრმად ჩახედული ადამიანის შემწეობას მოითხოვს. ვახტანგ ნადირაძე ტანვარჯიშს ორმოცდაათზე მეტი წლის წინ გაეცნო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ დავიწყებას მიეცა ცნობილი ქორეოგრაფის ხსოვნაში, ის ერთი ეპიზოდი კი დღემდე ნათლად ახსოვს.

— რეალურ სასწავლებელში გიმნასტიკა ერთ-ერთ წამყვან საგნად ითვლებოდა. კარგად მახსოვს გიმნასტიკის პირველი გაკვეთილი, ბავშვები ტანვარჯიშულ დარბაზში გავმწკრივდით და ველოდით მასწავლებლის გამოჩენას. უეცრად, ვხედავთ დარბაზში სწრაფი ნაბიჯით შემოდის ახოვანი, სიმპათიური ახალგაზრდა. ერთბაშად ვერც მივხვდით, რომ ჩვენს წინ მასწავლებელი იდგა. იგი რატომღაც ხანდაზმულ, დარბაისელ კაცად გვყავდა წარმოდგენილი. წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი მასწავლებელი ჯერ ზრდილად მოგვესალმა, მერე კი მეგობრულადაც გამოგვესაუბრა. ჩვენ გავიგეთ ახალი მასწავლებლის გვარი და სახელი — გიორგი მერკვილაძე. ერთი სული გვქონდა, როდის გვიჩვენებდა პატივცემული გიორგი ტანვარჯიშულ ილეთებს. და აი, იგი უცებ მკვეთრად შეტრიალდა, ძელს მიუახლოვდა და თავბრუდამხვევ ტემპში რამდენიმე ულამაზესი ილეთი გვიჩვენა. ადვილი გასაგებია ჩვენი დიდი გაოცება. პირდაღებულნი ვუცქერდით ამ ჯადოქარს და ვფიქრობდით: „ნუთუ შეიძლება ჩვენც ოდესმე ასე ვივარჯიშოთ?"

გიორგი მერკვილაძე თითქმის მიგვიხვდა და ღიმილით გვითხრა: — ბავშვებო, შეუძლებელი არაფერია. ვინც სულით და გულით შეიყვარებს ტანვარჯიშს, სხარტი, მოქნილი და ძლიერი იქნება. ახლა თქვენ იცით და თქვენმა ბიჭობამ.

იმ წუთიდან გიორგი მერკვილაძე ჩვენი კერპი გახდა, ხოლო ტანვარჯიში ყველაზე დიდი სიყვარული და გატაცება. ახლაც, როცა ესოდენ დიდი ხანი გვაშორებს იმ პირველ დაუვიწყარ გაკვეთილს, ჩემს აღმზრდელსა და მასწავლებელს მინდა ვუთხრა: უღრმესი მადლობა, ბატონო გიორგი, თქვენ ჩაგვინერგეთ სპორტის ულამაზესი სახეობის სიყვარული, გააღვივეთ ჩვენში პატიოსნება, კეთილშობილება. მე თქვენ მახსოვდით ყველგან, სადაც კი გადამისროლა ბედმა, როსტოვში, ბაქოში, ოდესაში, კიევში...

მართლაც, რა შეიძლება შეედაროს ამაგდარი მასწავლებლის დაფასებულ ღვაწლს, რით გაიზომება ის სიყვარული და პატივისცემა, რაც ტანვარჯიშის ამ გამოჩენილმა მოღვაწემ დათესა აღზრდილთა გულში. განა ეს სანიმუშო არ უნდა იყოს ყველა ახალგაზრდა მწვრთნელისთვის, ვისაც მოზარდის უფაქიზესი სულიერი და ფიზიკური სამყარო აბარია, ვისზეც ამდენად არის დამოკიდებული ერის სულიერი და ფიზიკური სიმრთელე?

მოგონებები, მოგონებები... ისინი მოდიან უწყვეტად და ვახტანგ ვრონსკის წარმოდგენაში კინოკადრებივით ცოცხლდებიან.

— მაგონდება კიდევ ერთი საგულისხმო „თბილისური" ეპიზოდი. ყოველი სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ საზეიმო-სპორტულ აღლუმს ვაწყობდით. ჩემი თაობის ხალხი დამეთანხმება, რომ ეს მართლაც დაუვიწყარი სანახაობა იყო. თვითონ მოსწავლეები ვიჩენდით ენთუზიაზმს, მასწავლებლის დახმარებით ვქმნიდით საალუმო „სცენარს", ვარჩევდით კომპოზიციას, მუსიკას. ერთი სიტყვით, ამ სანახაობაში ხელოვნება ტანვარჯიშთან იყო გადაჯაჭვული. იქნებ ამითაც არის გამოწვეული ჩემი შემოქმედებითი კავშირი თავისებურ სპორტულ-სანახაობრივ სპექტაკლთან — „ბალეტი ყინულზე". იქნებ კი არა, დანამდვილებით...

ჰოდა, სასკოლო აღლუმზე მოგახსენებდით. აი, როგორი იყო ერთ-ერთი ასეთი სანახაობა: კომპოზიცია ძველი რომის ცხოვრებას ასახავდა, თუ არა ვცდები, რომაელ გლადიატორებს განვასახიერებდით. ყველა ტანმოვარჯიშე რომაულ ტოგაში იყო გამოწყობილი. ვარჯიშებს, რომლებიც ბრძოლის სურათებს წარმოსახავდნენ, მუსიკის აკომპანემენტი ახლდა. ჩვენს ტანვარჯიშულ ჯგუფში იყო შემდგომში სახელგანთქმული დირიჟორი ევგენი მიქელაძე. ურიგო ტანმოვარჯიშე არ იყო, მაგრამ საუცხოო მუსიკოსად ითვლებოდა და ამიტომ ორკესტრში საყვირზე დაკვრა დაევალა. რა ექნა ევგენის, ერთი სული ჰქონდა რომელიმე გლადიატორის ტოგა მოესხა, მას კი ორკესტრში მიუჩინეს ადგილი. გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება (ამ სიტყვებზე ვახტანგ ვრონსკის გულიანად ეცინება). მივიდა ევგენი პატივცემულ გიორგისთან და ეუბნება: — იცით რა, ორკესტრი ტანვარჯიშულ ილეთებს არ მოუხდება, რა საჭიროა ორკესტრის „ბათქაბუთქი". ფორტეპიანოს აკომპანემენტი სულ სხვა საქმეა. მე ამაზე წინასწარ ვიფიქრე და ჩინებული პიანისტიც მოგგვარეთ — ჩვენი მელიქ-ფაშაევი.

თქმა ერთი იყო, მაგრამ მელიქ-ფაშაევმა მეგობარს არ „უმუხთლა"?! რას ამბობ, ორკესტრს რა სჯობიაო. ევგენიმ უმალ გვერდზე გაიხმო მეგობარი, რაღაც გადაულაპარაკა და დაკვრაზე დაითანხმა. რაც მართალი მართალია, ხუმრობით დაწყებულ საქმეს კარგი შედეგი მოჰყვა. ფორტეპიანოს აკომპანემენტმა მართლაც დაამშვენა ჩვენი აღლუმი. რაც მთავარია, ევგენიმ გულის წადილი აისრულა და ტანმოვარჯიშეთა რიგებს შეუერთდა.

მოგონებები, მოგონებები... სწავლობდა, ვარჯიშობდა, უყვარდა, აინტერესებდა. გაჭირვებაც ბევრი ნახა, სიხარული ნაკლები ჰქონდა, მაგრამ ახლა ნახევარი საუკუნის სიმაღლიდან რომ უყურებს, ყველაფერი მაინც ტკბილად აგონდება. იმიტომ, რომ ყრმობა განუმეორებელია, განუმეორებელია თბილისიც, ტანმოვარჯიშეებიც — აღსავსენი სიამაყით, პატიოსნებით, საკუთარი ღირსების გრძნობით. ის ასეთ სამყაროში გაიზარდა და აქედან შორეულ რუსეთშიც, აზერბაიჯანშიც, უკრაინაშიც გაიტანა ამ სითბოს მადლი.

მოგონებები, მოგონებები... ჯერ თეატრი და სახვითი ხელოვნება იტაცებდა, მერე ბალეტი. 14 წლისამ პირველად უყურა კარის ჭუჭრუტანიდან იმ დროს თბილისში ცნობილი იტალიელი ქორეოგრაფის მარიანე პერინის საბალეტო გაკვეთილებს. აქედან დაიწყო...

იგი ქმნიდა და დგამდა იშვიათ საბალეტო სპექტაკლებს. მან აამღერა სცენაზე თავისი ყველაზე ფაქიზი საგულისხმო ფიქრები და მისწრაფებები.

ერთხელ ბალზაკს უთქვამს: „ჩემი ცხოვრების მთავარი მოვლენები — ჩემივე ნაწარმოებებია". ბატონ ვახტანგს თამამად შეუძლია გაიმეოროს ეს სიტყვები. ყველაფერს, რაც მას შეუქმნია და გაუკეთებია, დიდი ნიჭის, უფაქიზესი გემოვნებისა და ხალასი ფანტაზიის ბეჭედი აზის; და კიდევ დიდი სიყვარულისა... ამაგი დაუფასდა, იგი აღიარეს საბჭოთა ქორეოგრაფიის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწედ. აფიშებზე ვახტანგ ვრონსკის გვარის გასწვრივ ვკითხულობთ: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, უკრაინის სახალხო არტისტი, აზერბაიჯანის დამსახურებული არტისტი, მის მკერდს ამშვენებს ლენინისა და წითელი დროშის ორდენები. ჭეშმარიტად საამაყოა, როცა ასე ფასდება ჩვენი თანამემამულის ღვაწლი.

შეხვედრა წარსულთან... იგი მუდამ ამაღელვებელია. მაგრამ ამ შეხვედრას სულ სხვა შნო და ლაზათი ჰქონდა. 50 წლის მანძილზე თვალითაც არ უნახავთ ერთმანეთი მასწავლებელსა და მოწაფეს. და, როგორი საკვირველიც უნდა იყოს, ამ ნახევარი საუკუნის უნახაობამ კი არ დააშორა, უფრო დააახლოვა ორი ადამიანი — გამოჩენილი ქორეოგრაფი და არანაკლებ ცნობილი სპორტული მოღვაწე. ვინა თქვა, როგორც თვალი შორს, ისე გული შორსო.

— თბილისში თუ ვინმე ახლობელი მეგულება, ეს პირველ ყოვლისა ჩემი საყვარელი მასწავლებელი გიორგი მერკვილაძე გახლავთ. აი, როცა ჩემი ხნისა მოიყრებით, ალბათ უფრო გასაგები გახდება ეს გრძნობა. ცხოვრებაში ასეც ხდება: თითქოს ახლობელი ადამიანისგან არც ისე დიდი მანძილი გყოფს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო კონტაქტს ვერ ამყარებ. როცა ახლა ჩემს საბალეტო დასთან ერთად თბილისს ვესტუმრე, ერთ-ერთ კერძო საუბარში მერკვილაძის გვარი ვახსენე. რაოდენ დიდი იყო ჩემი სიხარული, როცა შევიტყვე, რომ ბატონი გიორგი კვლავინდებურად ჯანზეა და ძველებური მხნეობით ემსახურება სპორტს. ასეთი რამ ალბათ მარტო სიზმარში ხდება. ის-ისაა გავიგე გიორგი მერკვილაძის ამბავი, რომ სპორტის სასახლის კარი გაიღო და თვითონ ბატონი გიორგი არ შემოვიდა?! ერთ-ერთ დელეგაციას მასპინძლობდა. ნახევარი საუკუნის შემდეგ ხანდაზმულ, მაგრამ უწინდებურად მხნე და წელგამართულ კაცში უმალ შევიცანი ჩემი ყრმობის მასწავლებელი...

— მე განვიცადე ჩემი ცხოვრების ბედნიერი წუთები. თითქოს ნახევარი საუკუნის ტვირთი ჩამოსცილდა მხრებს. ისევ ხუჭუჭთმიან ნორჩ ტანმოვარჯიშედ ვიქეცი და კვლავ ჩავაბარე პატაკი ჩემს მასწავლებელს — ამჯერად ხანგრძლივი ცხოვრების პატაკი.

**ა. გოგელია.**

* * *

სურათზე: გ. მერკვილაძე (მარცხნივ) და ვ. ვრონსკი.

მ. ზარგარიანის ფოტო.



### ნორმატივებს ლაშქრობის დროს აბარებენ

**ჩერნოვცი,** 1 ნოემბერი. მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებელთა შორის დიდად პოპულარულია ორდღიანი მოგზაურობა კარპატის მთებში. ლაშქრობაში უკვე მიიღო მონაწილეობა ჩერნოვცის რამდენიმე ასეულმა მცხოვრებმა — საფეიქრო გაერთიანება „ვოსხოდის", ქარხანა „ლეგმაშის" და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებმა. მათ გადალახეს ალმართები და დაღმართები, მთის მდინარეები, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ორიენტირებაში.

სულ ტურისტთა სხვადასხვა ასაკის ჯგუფებმა 50-მდე მარშრუტით იმოგზაურეს.

### „სპორტლოტოს" მოყვარულთა საყურადღებოდ!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 55-ე წლისთავის ზეიმის დღეებთან დაკავშირებით, „სპორტლოტოს" 30-ე ტირაჟის მოგებათა განაღდება დაიწყება არა 11, არამედ 13 ნოემბრიდან.

„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველო.





# დანაშაული და სასჯელი

კლასიკურ ჭიდაობაში სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი ფინალისტის ვინაობა გაირკვა მას შემდეგ, რაც რსფსრ-ს ნაკრებმა საკმაოდ რთულ სიტუაციაში დაამარცხა საქართველოს გუნდი. მეორე ფინალისტი უნდა დაესახელებინა უკრაინისა და მოსკოვის მოჭიდავეთა ასპარეზობას. შეხვედრა მეტად მძაფრად, დაძაბულად მიმდინარეობდა და გამარჯვების საკითხი მძიმეწონოსან იუნიორთა შეხვედრამ გადაწყვიტა.

მართალია, თავიდან მოსკოველი ს. კუპრიანოვი დაწინაურდა, მაგრამ მერე მან პასიურად წარმართა ორთაბრძოლა და არბიტრისგან ორი გაფრთხილება მიიღო. კუპრიანოვი შემდგომშიც გაურბოდა აქტიურ მოქმედებას, მაგრამ მსაჯმა გადამჭრელ ზომებს არ მიმართა და მოსკოველ იუნიორს გამარჯვება მიაკუთვნა (ა. კულჩინსკისთან შეხვედრაში). ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ფინალში მოსკოვის ნაკრები გასულიყო.

უკრაინელებმა გააპროტესტეს არბიტრისა და მსაჯების გადაწყვეტილება. პროტესტი გაარჩია მთავარ მსაჯთა კოლეგიამ და საკმაოდ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო: შეხვედრის შედეგი უცვლელი დატოვა, არბიტრი ი. ნიგლასი კი ლიბერალიზმისა და გაუბედაობისთვის შეჯიბრებიდან მოხსნა.

ისმება კითხვა: რა მნიშვნელობა აქვს მსაჯის დასჯას, თუ მსაჯთა კოლეგია მის შეცდომას არ შეცვლის: არბიტრის მოხსნა იმის მაჩვენებელია, რომ მან უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა. თუ ამ ფაქტს ვაღიარებთ, მაშინ ბრძოლის შედეგიც უნდა გავაუქმოთ, თორემ მსაჯზე მეტად იჩაგრება დაზარალებული გუნდი, რომელიც ნიგლასის უზუსტობის გამო ფინალში ვერ მოხვდა.

ერთი სიტყვით, არბიტრი ასპარეზობიდან მოიხსნა მაშინ, როცა ტურნირი ფაქტიურად დამთავრებული იყო. უკრაინის ნაკრები არბიტრის შეცდომის გამო გამოეთიშა შემდგომ ბრძოლას. ნიგლასი მოწოდების სიმაღლეზე რომ ყოფილიყო, მაშინ მოსკოვის გუნდი კი არ გაიმარჯვებდა (საერთო ანგარიშით 40:36) არამედ დამარცხდებოდა (37:39), ფინალში კი რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ათლეტები გავიდოდნენ.

საერთოდ, მსაჯობა ამ ტურნირში მუდამ ერთნაირად მაღალ დონეზე არ იდგა. თ. ბაბუხადია (საქართველო) — ლ. სტარიკოვის (რსფსრ) შეხვედრაში მსაჯებმა პლოსკონოსმა (მელიტოპოლი) და სადობოლდჟევმა (ალმა-ათა) „სიფხიზლე" გამოიჩინეს და ჭიდაობის დამთავრებამდე 5 წამით ადრე გაფრთხილება მისცეს ქართველ იუნიორს, რის გამოც ორთაბრძოლა ფრედ დამთავრდა. როცა ამ ორი რესპუბლიკის მოჭიდავეთა ასპარეზობის შედეგები შეჯამდა, გამოირკვა, რომ მეტოქეებს ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვებიათ. დებულების თანახმად, უპირატესობა მიენიჭა რსფსრ-ს ნაკრებს, რომელმაც უფროსების ასპარეზობაში გაიმარჯვა. არადა, ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები ფაქტიურად ფინალში იყვნენ გასულნი, ის საბედისწერო გაფრთხილება რომ არა.

ბრძოლის მერე მუშტების ქნევას, რა თქმა უნდა, აზრი არა აქვს. მით უმეტეს, სპეციალისტთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ბაბუხადიას მიმართ მიღებული ზომა სამართლიანი იყო. მაგრამ, თუ ასეა, არბიტრებსა და მსაჯთა კოლეგიას ასეთივე სიფხიზლე უნდა გამოეჩინათ მეორე შეხვედრაშიც, რომლის შესახებაც ამ წერილის დასაწყისში ვწერდით.

და მაინც, საქართველოს მოჭიდავეებს მეტი უნდა გაეკეთებინათ ამ ტურნირში, მეტი თუნდაც იმიტომ, რომ ამ ასპარეზობაში გუნდების უმრავლესობას არ ჰყავდა ჩამოყვანილი ყველა საუკეთესო მოჭიდავე. მაგრამ აგერ უკვე რამდენი ხანია გულხელდაკრეფილი შევყურებთ ჩვენი ათლეტების სუსტ გამოსვლას დაბალ წონებში. გავიდა რამდენიმე წელი და საქართველოში ვერაფრით ვერ გამოვძებნეთ ღირსეული მოჭიდავეები 48, 52, 57 წონითს კატეგორიებში. განა რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელებმა წინასწარ არ იცოდნენ, რომ აღნიშნულ წონებში უხეიროდ გამოვიდოდით? განა შეიძლება დიდ წარმატებაზე ფიქრი, როცა გუნდი თანაბარი სიძლიერის ათლეტებით არ არის დაკომპლექტებული და ზოგიერთ წონაში მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის ანაბარა ვრჩებით?

ვეტერანებმა, რომლებსაც არც ოსტატობა აკლდათ და არც მონდომება, თავდაუზოგავად იბრძოლეს, მაგრამ მხოლოდ მათი მეცადინეობა და, თუ გნებავთ, სურვილი, საკმარისი არ აღმოჩნდა საბოლოო წარმატებისთვის. სსრ კავშირის თასის გათამაშება კარგი მაგალითია მწვრთნელებისთვის.

ასპარეზობის ბოლო დღეს თბილისის სპორტის მოყვარულებმა გულთბილად გააცილეს საბჭოთა სპორტის შესანიშნავი წარმომადგენლები, კლასიკური ჭიდაობის დიდოსტატები, მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონები, თბილისელი რ. რურუა, ლენინგრადელი ა. როშჩინი და ყაზანელი ვ. ბაკულინი. ღვაწლმოსილებს მიესალმნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის წარმომადგენლები, თანამემამულენი, ჭიდაობის ვეტერანები.

**ნ. ახვლედიანი.**

მოგვყავს სსრ კავშირის თასის გათამაშების ტექნიკური შედეგები:

II წრე. I ჯგუფი. საქართველო — ბელორუსია 49:31 (უფროსები — 22:18, იუნიორები — 27:13), რსფსრ — უზბეკეთი 60:16 (32:4 და 28:12); II ჯგუფი. უკრაინა — აზერბაიჯანი 48:32 (22:18 და 26:14), მოსკოვი — ყაზახეთი 43:37 (14:26 და 29:11).

III წრე. I ჯგუფი. რსფსრ — საქართველო 40:40 (24:16 და 16:24), ბელორუსია—უზბეკეთი 46:22 (18:10 და 28:12). II ჯგუფი. მოსკოვი — უკრაინა 40:36 (24:16 და 16:20), ყაზახეთი — აზერბაიჯანი 50:22 (17:19 და 33:3).

ფინალი. რსფსრ — მოსკოვი 42:26 (15:17 და 27:9).

საბოლოო ადგილები: 1. რსფსრ, 2. მოსკოვი, 3. საქართველო, 4. უკრაინა, 5. ყაზახეთი, 6. ბელორუსია, 7-8. უზბეკეთი და აზერბაიჯანი.

• • •

სურათებზე: რსფსრ-ს მოჭიდავეთა გუნდი — სსრ კავშირის თასის პირველი მფლობელი; სპორტის დამსახურებული ოსტატები (მარცხნიდან) რ. რურუა, ა. როშჩინი და ვ. ბაკულინი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.




სსრ კავშირის პირველობა

## I ლიგა

# შეტევები და... დამარცხება

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 4 ნოემბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 1:2 (0:1).

„ტორპედო": გრძელიშვილი, მაზიაშვილი, მირონოვი, ფრიდმანი, ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ქვირია, ჭოლაძე, ფესტვენიძე, შელია, ჯ. სილაგაძე.

„ტექსტილშჩიკი": კოჟემიაკო, სიუგოვინი, გორნუშკინი, ზერნოვი, ზელიევი, ბუტოვი, ვენკოვი (შულიაკოვი), პოტაპოვი, პიანოვი, პონომარიოვი, ტორბინი.

მსაჯი ბ. ბელოზიოროვი (ტაშკენტი).

დუბლიორები — 1:0 „ტორპედოს" სასარგებლოდ.

სტუმრებისთვის ერთ ქულასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ისინი I ლიგიდან „განდევნის" კანდიდატთა შორის იმყოფებიან. ამდენად მათთვის ქუთაისში მატჩის ფრედ დამთავრებაც ხელს აძლევდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ „ტექსტილშჩიკმა" გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და ერთბაშად 2 ქულა აიღო.

ქუთაისელებმა წააგეს მატჩი, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ისინი თამაშობდნენ უხალისოდ, დაბალ დონეზე, ან არ იბრძოდნენ ისე, როგორც საჭიროა. უბრალოდ, გუნდმა მრავალი საგოლე მომენტი შექმნა მოწინააღმდეგის კართან და ვერ შეძლო მათი გამოყენება. ჯერ ერთი, თავდამსხმელები ვერ იცავდნენ სათანადო სიზუსტეს კარში გადამწყვეტი დარტყმისას. ამას გარდა, ძლიერად ითამაშა სტუმრების დაცვამ და განსაკუთრებით — მეკარე კოჟემიაკომ, რომელმაც, შეიძლება ითქვას, გადაარჩინა თავისი გუნდი აშკარა დამარცხებას.

უკვე პირველივე წუთებზე კოჟემიაკომ ძალზე ძნელი ბურთები აიღო ოქროპირაშვილისა და ქვირიასგან, შემდეგ — კვლავ ოქროპირაშვილისგან. და მაშინ, როცა „ტორპედო" იერიშზე იყო, ტორბინი მარცხენა ფლანგზე გაექცა „ტორპედოს" მცველებს და გახსნა ანგარიში — 1:0.

ტაიმის დასასრულამდე კვლავ მასპინძლები უტევდნენ და კვლავ სრული დატვირთვით თამაშობდა „ტექსტილშჩიკის" მეკარე.

როგორც კი განახლდა თამაში შესვენების შემდეგ, ჭოლაძემ და გრძელიშვილმა შეცდომა დაუშვეს ბურთის გათამაშებისას, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა პიანოვმა — 2:0.

ტორპედოელთა შემდგომ იერიშებს მხოლოდ ერთხელ მოჰყვა სასურველი შედეგი: 54-ე წუთზე ფესტვენიძემ ახლო მანძილიდან შეძლო ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა — 1:2.

11 ნოემბერს „ტორპედოს" შინ გამოტოვებული მატჩი აქვს ტაშკენტის „ფახტაქორთან".

**შ. ნიჟარაძე.**

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

რუსთავის „მეტალურგის" სტადიონზე გაიმართა თბილისისა და მინსკის „დინამოს" დუბლიორ ფეხბურთელთა კალენდარული მატჩი. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1 (ანგარიში გახსნა ხანიშვილმა, საპასუხო ბურთი გაიტანა ბოგოვიკმა).

## უმაღლესი ლიგა

## ჭაბუკთა საკავშირო

უჟგოროდი, (დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის გათამაშება.

თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის მეტოქე II ტურში იყო კიევის „სპორტინტერნატი". თბილისელებმა კარგად ითამაშეს და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 1:0. გოლი კიეველთა კარში გაიტანა შელიამ.

მოსკოვის ოლქის „შრომითი რეზერვების" ფეხბურთელებმა მოუგეს ფრუნზეს სპორტსკოლის გუნდს — 1:0. ასეთივე ანგარიშით დაამარცხა ცსკა-მ მასპინძლები — უჟგოროდელები.

# სახალხო ზეიმი იყალთოში



ამას წინათ დიდი სახალხო ზეიმი იყო იყალთოში. ქართული კულტურის უძველესი ძეგლის — იყალთოს აკადემიის ნაფუძარზე მეათედ გაიმართა ტრადიციული სახალხო დღესასწაული — შოთაობა.

ზეიმში მონაწილე ქართველ მწერალთა, მეცნიერთა, საზოგადო მოღვაწეთა შორის იყვნენ ჩვენი სასიქადულო სპორტსმენები — სსრ კავშირის მრავალგზისა და ევროპის ორგზის აბსოლუტური ჩემპიონი, ჩოგბურთელი ა. მეტრეველი და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, მიუნხენის ოლიმპიადის ოქროს პრიზიორი — კალათბურთელი ზ. საკანდელიძე.

• • •

სურათზე: ა. მეტრეველი სიტყვას წარმოთქვამს შოთაობაზე.

თბილისის 54-ე საშუალო სკოლის მოსწავლეების სანდრო და რეზო ჯორბენაძეების ტექსტი და ფოტო.

# მონრეალი ემზადება

XX ოლიმპიური თამაშების წინ მიუნხენის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა, რომ ეს თამაშები ყველაზე იაფი დაჯდებოდა. მაგრამ ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში საორგანიზაციო კომიტეტს ბევრი გაუთვალისწინებელი საზრუნავი გაუჩნდა და ეს ლოზუნგიც მიივიწყეს.

XXI ოლიმპიადის ორგანიზატორს — მონრეალს, მიუნხენთან შედარებით ერთი უპირატესობა აქვს: მან გადაწყვიტა ოლიმპიურ ნაგებობათა კომპლექსში ჩართოს ყველაფერი, რაც რამდენიმე წლის წინ მსოფლიო გამოფენისთვის აიგო. თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს, ეს გარემოება, რა თქმა უნდა, გარკვეულ შეღავათს მისცემს, მაგრამ ხარჯების მაქსიმალური შემცირება მაინც არ ხერხდება.

ამ ფოტო სურათზე კი თქვენ ხედავთ მონრეალის ოლიმპიური სტადიონის მაკეტს.



# გულთბილი შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონთან

ამ დღეებში საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გულთბილი შეხვედრა მოეწყვეს ჭადრაკში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს. დარბაზში შეიკრიბნენ ხელოვნების ცნობილი მოღვაწენი, მეცნიერები, მათი ოჯახის წევრები, ნონას გულშემატკივრები.

ჩემპიონის შემოქმედებითს და სპორტულ მოღვაწეობაზე ილაპარაკა ჭადრაკის მიმომხილველმა, საერთაშორისო არბიტრმა თ. გიორგაძემ.

საამაყო მოჭადრაკეს მიესალმნენ ცნობილი პოეტი ქალი მარიჯანი, აკადემიკოსები შ. ამირანაშვილი და ა. ზურაბაშვილი, ხელოვნების მუშაკთა სახლის პ. კობახიძის სახელობის საჭადრაკო კლუბის საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ი. თოდუა, საწარმოო კომბინატის სახელით — შ. წერეთელი.

კ. მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობებმა, საქართველოს სახალხო არტისტებმა შ. ჯაფარიძემ, მ. თბილელმა, ი. ტრიპოლსკიმ და საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა მ. თაბუკაშვილმა წარმოადგინეს ნაწყვეტი პიესიდან „ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე".

თავიანთი ხელოვნებით — სიმღერით ძვირფას სტუმარს მიესალმნენ საქართველოს დამსახურებული არტისტები ნ. ჩხეიძე (აკომპანიატორი მ. გონგლიაშვილი), ლ. გეგელია (აკომპანიატორი ე. გოძიაშვილი), მსახიობები ი. გურგულია, გ. დარახველიძე, ვოკალური ანსამბლი „რუსთავი" ა. ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით.

საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა, პიანისტმა ნანა გვასალიამ დამსწრენი მოხიბლა თავისი ხელოვნებით.

ი. თოდრია.

# პირველი ოლიმპიური მერცხალი

როგორც იქნა, აღსრულდა: სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრები გუნდი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ეს იყო დიდი ზეიმი, დიდი უძილო ღამე და მძიმე, დაძაბული შრომა.

● რა გრძნობა დაგეუფლათ, საფინალო სასტვენის ხმა რომ გაიგეთ?

ასეთი შეკითხვით მივმართეთ ნაკრების უფროს მწვრთნელს ვ. კონდრაშინს (რომელ მატჩზე ან რომელ ფინალურ სასტვენზეა ლაპარაკი, ვფიქრობთ, ყველა მიხვდება).

— პირველად, საბჭოთა კალათბურთის ისტორიაში პირველად... აზრის დამთავრებისა თითქოს მეშინოდა, მაგრამ ბოლოს ყველაფერი ცხადი იყო: ოქროს მედლები ჩვენია, საბჭოთა სპორტსმენების საკუთრებაა!

● რამ განაპირობა საბჭოთა გუნდის ესოდენ დიდი გამარჯვება?

— კოლექტივიზმმა. მიუნხენში ჩვენ ვარსკვლავები არ გვყავდა, სამაგიეროდ, გუნდი უაღრესად შეკრული, ერთიანი კოლექტივი იყო.

● ძნელი ხომ არ იყო სხვადასხვა ეროვნებისა და სხვადასხვა ხასიათის კალათბურთელებთან მუშაობა? გესმოდათ ერთმანეთისა?

— რა თქმა უნდა, ძნელი იყო. ოქროს მედლებს ისე, სხვათა შორის, არ არიგებენ. ერთმანეთისა კი აგერ უკვე ნახევარი საუკუნეა კარგად გვესმის.

● მოკლედ ხომ არ დაგვიხასიათებთ თითოეულ ლაურეატს?

აქ მწვრთნელმა შუბლზე მოისვა ხელი, მერე ჩაფიქრდა და დაიწყო:

ს. ბელოვი. უაღრესად შრომისმოყვარე და შეუპოვარი კალათბურთელია. შესანიშნავად აქვს გაწაფული ხელი საშუალო მანძილებიდან სროლაში. ძნელად განიცდის ფსიქოლოგიურ ზეგავლენას. ადამიანებთან ურთიერთობის დამყარება უჭირს, მაგრამ, თუ ვინმეს მიენდო — სამუდამოდ.

ზ. ვოლნოვი. ცხოვრებაში, ისევე როგორც მოედანზე, დაკვირვებული და სერიოზულია. კარგად თამაშობს დაცვაში, განსაკუთრებით, ცენტრალური თავდამსხმელების წინააღმდეგ. მისი გამოცდილება უმძიმეს წუთებში პირდაპირ ფასდაუდებელია.

მ. პაულაუსკასი. საოცრად ნიჭიერი კალათბურთელია. ყველა გუნდში, სადაც კი თამაშობს, ლიდერის როლს ასრულებს და წარმატებითაც. აქვს სპორტული „შული" და თავგამოდებით იბრძვის ყოველი ბურთისთვის. ერთნაირად მომთხოვნია როგორც თავისი თავის, ისე ამხანაგების მიმართ. რამდენიმე სეზონია ლიტვაში წლის საუკეთესო სპორტსმენად ასახელებენ. ეს უთუოდ ბევრს ნიშნავს.

მ. ქორქია. ბრწყინვალე ფიზიკური მონაცემების მქონე მებრძოლი. დავალების უსიტყვო შემსრულებელი და სიტყვის კაცი. ემოციური.

ა. პოლივოდა. მასში თანაბრადაა შერწყმული კონტრასტები და ემოციები. მოედანზე ოდნავ ფეთქვაშია, ცხოვრებაში — საოცრად რბილი ხასიათისა, შრომისმოყვარე და ზუსტი. მობილიზების უნარი აქვს და მუდამ თანაბრად თამაშობს.

ა. ბოლოშევი. თავმდაბალი და გულღია, ადვილად უახლოვდება ადამიანებს. სარგებლობს კოლექტივის ნდობით. ზოგჯერ ზედმეტად მშვიდია და მეგობრები „მძინარას" ეძახიან. ჩვენში „მისტერ კალათბურთის" სახელს რომ აკუთვნებდნენ ვინმეს, ბოლოშევი უეჭველად ერთ-ერთი პრეტენდენტი იქნებოდა.

ს. კოვალენკო. ჩუმი და თავმდაბალი სპორტსმენი. აქვს მშვიდი ხასიათი და ადამიანებთან ურთიერთობის მაღალი კულტურა.

ი. დვორნი. გულკეთილია და უენო. მუდამ მხარში უდგას ბიჭებს.

ი. ედეშკო. გუნდის კერპი. საოცრად პატიოსანია ცხოვრებაში, მოედანზე კი ეშმაკი. ფარული მიწოდებები მისი სპეციალობაა. მეტწილად თამაშის ორგანიზატორია და სიამოვნებით ასრულებს ამ როლს.

ა. ქარმუხამედოვი. შრომისმოყვარეა და თავმდაბალი. კალათბურთი მისი სტიქიაა და ამიტომაც არასდროს ზოგავს თავს. მწვრთნელის ყველა დავალებას უსიტყვოდ ასრულებს. კარგად მეურვეობს ტანმაღალ მეტოქეებს. ითვლება იუგოსლაველი ჩოსიჩის „სპეციალისტად".

ზ. საკანდელიძე. ნაკრების ყველაზე სწრაფი, თუ შეიძლება ითქვას, რეაქტიული მოთამაშე. საკმარისია ბურთს თითის წვერები მოავლოს, რომ ალარავის დაუთმობს მას. ცხოვრებაში მხიარულია და ადვილად ამყარებს კონტაქტს.

ა. ბელოვი. ყველაზე ემოციური კალათბურთელი გუნდში. კარგად ხტება. აქვს კოორდინაციისა და ორიენტირების შესანიშნავი უნარი, განსაკუთრებით, ფარის ქვეშ. კარგად გრძნობს საკალათბურთო ხელოვნების ნიუანსებს. მახსენდება ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიული გუნდის „დენვერ როკეტსის" მწვრთნელის სიტყვები: „მთელს ჩემს ქონებას მივცემდი, ასეთი მოთამაშე რომ მყავდეს. მას შეუძლია პროფესიული კალათბურთის ფანტასტიკური თავდამსხმელი გახდეს".

შემდეგ ვ. კონდრაშინმა თქვა, რომ სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრები ყველაზე „განათლებული" გუნდია მსოფლიოში: მისი შვიდი წევრი სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს, ორმა დაამთავრა ინსტიტუტი და ორიც, უკვე პედაგოგად მუშაობს. „ასე რომ, თამამად შემიძლია ვთქვა: ოლიმპიურ გამარჯვებას ნაკრებმა მიაღწია არა მარტო ვაჟკაცობის, ნებისყოფის და ოსტატობის წყალობით, არამედ მოთამაშეთა ცოდნის, ჭკუისა და გამოცდილების ხარჯზეც", — განაცხადა კონდრაშინმა.

● პრესაში უკვე ბევრი რამ დაიწერა საბედისწერო სამ წუთზე, მაგრამ მკითხველებს, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად თქვენი აზრი და ნაამბობი აინტერესებთ.

— როცა ამერიკელ კოლინზს ორი საჯარიმო სროლის უფლება მისცეს, წუთმესვეურების აღება გადავწყვიტე. ჩემი განზრახვა შევატყობინე სამდივნოს. წუთმესვეურება უნდა მოეცათ პირველ და მეორე საჯარიმო სროლებს შორის, მსაჯებმა კი ვერ შენიშნეს ჩემი მოთხოვნა. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან იმ მომენტში დარბაზში ენით აუწერელი ხმაური იდგა. დაიწყო დავა ჩემსა და მსაჯებს შორის. კამათში ჩაერივნენ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი ჯონსი და ტექნიკური მდივანი სტანკოვიჩი. ისინი ჩემს უკან ისხდნენ და დაინახეს, წუთმესვეურება რომ მოვითხოვე. სანამ მსაჯები და ხელმძღვანელები კამათობდნენ, ბიჭებს მოკლედ განვუმარტე სიტუაცია. ბურთს თამაშში შეიყვანს ედეშკო და პირდაპირ გადააწოდებს ამერიკელთა ფარის ქვეშ მდგომ ალექსანდრე ბელოვს. ყველაფერი ეს უკვე მოფიქრებული მქონდა. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი. პირველად ედეშკომ ბურთი შემოაგდო მსაჯის ნებართვით. გაამეორებინეს. ის, რაც მეორედ მოხდა, ყველამ ნახეთ ტელეეკრანზე. ბურთი ზუსტად მიიღო ბელოვმა და... აქ უნდა დავსძინო ერთი რამ: წამმზომმა დროის აღრიცხვა დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, როცა ბელოვმა გადაცემა მიიღო. ასეთია წესი. ამერიკელებმა მატჩი გააპროტესტეს. მათ წუთმესვეურების რეალურობა ეჭვქვეშ დააყენეს. მერე კი განაცხადეს, ყველაფერი სწორი იყო, ოღონდ დროში წამი დაგვაკლესო. სააპელაციო ჟიურიმ, რომელშიც უნგრეთის, კუბის, იტალიის, პოლონეთისა და პუერტო-რიკოს წარმომადგენლები შედიოდნენ, გულდასმით შეისწავლა სატელევიზიო ვიდეოჩანაწერი და უარყო ამერიკელთა პროტესტი. მაშინ ამერიკელებმა საჩივარი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სააპელაციო ჟიურიში გადაიტანეს. სოკ-ის საპატიო პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა, რომელიც ამ მატჩს ესწრებოდა, უარყო მათი მოსაზრებები. ამერიკელები ბრენდეჯს დაემუქრნენ, რომ უარს იტყოდნენ ვერცხლის მედლების მიღებაზე. ბრენდეჯმა ღიმილით მოისმინა ეს მუქარა და განმარტა, რომ ასეთ პირობებში აშშ-ს ნაკრები დისკვალიფიცირებული იქნება მომდევნო ოლიმპიურ თამაშებშიც. ამერიკელებმა, ცხადია, უკან წაიღეს მუქარა და ინციდენტიც ამით ამოიწურა.

● თავი დავანებოთ ამ დრამატულ ფინალს. რა შეიძლება ითქვას საერთოდ კალათბურთელთა ოლიმპიურ ტურნირზე?

— ბრძოლა მიუნხენში უაღრესად მძაფრი და უმეღავათო იყო. პირადად მე მიმაჩნია, რომ ყოველი მატჩი ჩვენთვის თავისებურ ფინალს წარმოადგენდა, ვინაიდან გუნდები კარგად იყვნენ მომზადებული ფსიქოლოგიურად, ფიზიკურად, და, რაც მთავარია, ტექნიკურად. ადვილი თამაში არც ერთ ნაკრებს არ ჰქონია. მეტოქის ძალების უმნიშვნელო შეუფასებლობაც კი სავალალო შედეგს იძლეოდა. გაიხსენეთ ავსტრალიელი და ბრაზილიელი, ან იუგოსლაველი და პუერტორიკოელი კალათბურთელების შეხვედრათა შედეგები. ჩვენს გუნდს ერთი გარკვეული მიზანი ამოქმედებდა — ოლიმპიური ოქროს მედლები. ბიჭები ჯიუტად მიიწევდნენ ამ მიზნისკენ. სხვა ჯილდოები სსრ კავშირის ნაკრებისთვის უკვე ჩვეული იყო.

● როგორ მოგწონთ თქვენი მეტოქეების სპორტული ოსტატობა?

— მიუნხენში ძლიერი გუნდები ჰყავდათ ჩამოყვანილი ამერიკის შეერთებულ შტატებს, კუბას, ბრაზილიას, იუგოსლავიას, პუერტო-რიკოს, იტალიას. ამერიკელები ბრწყინვალედ თამაშობდნენ დაცვაში. ასეთი მძლავრი დაცვა ოლიმპიადების სარბიელზე მე არ მინახავს. შედარებით სუსტად თამაშობდნენ ისინი თავდასხმაში. ბრაზილიელებმა და იუგოსლაველებმა აქცენტი გამოცდილ მოთამაშეებზე გადაიტანეს, ეს, რა თქმა უნდა, უპირატესობაა, როცა ტურნირი შინ მოედანზე ტარდება. მაგრამ მიუნხენში იგი მთავარ მინუსად იქცა. ვეტერანებს აშკარად უმტყუნა საერთო ფიზიკურმა მომზადებამ. იტალიის გუნდს საბჭოთა კავშირში კარგად იცნობენ. იგი ჩვენთვის ხელსაყრელი მეტოქეა. კუბამ წარმოადგინა ფიზიკურად ძლიერი და გამძლე კოლექტივი, მხოლოდ ტაქტიკა არ უვარგოდა, მაგრამ ამ ნაკლის აღმოფხვრა შეიძლება. პუერტო-რიკოს გუნდი ყველაზე ტექნიკური იყო მიუნხენში. ყოველ მატჩს იგი რეაქტიულ ტემპში ატარებდა და, რაც მთავარია, საამისო ძალა ჰყოფნიდა. ჩემის აზრით, მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც პუერტო-რიკოში უნდა ჩატარდეს, ამ ქვეყნის კალათბურთელებს დიდ სიხარულს მოუტანს.

● ვისი გამოყოფა შეგიძლიათ საბჭოთა კალათბურთელებიდან?

— ყველასი, ვინაიდან თითოეულ მათგანს დიდი ღვაწლი მიუძღვის საერთო წარმატებაში.

გ. ანისიმოვი,

გ. ჩუპროვი.

(ჩვენი კორ.).

ლენინგრადი.



# მთებიდან... ფრანით

ისტორიაში ცნობილია ბევრი შემთხვევა, როცა მამაც ადამიანებს თვითნაკეთი ფრთებით ფრენა უცდიათ.

1812 წელს ფრანგმა გამომგონებელმა დეგენმა პარიზში მარსის მინდვრის თავზე იფრინა. მართალია, მას იმდენად ფრთები არ აკავებდა, რამდენადაც წყალზე გაბერილი საჰაერო ბურთი, რომელიც მიწაზე თოკებით ეჭირათ.

იკაროსების კვალი თითქმის პირველი თვითმფრინავების გამოჩენისთანავე უნდა გამქრალიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. უფრო მეტიც, თვითმფრინავის გაუმჯობესებასთან ერთად „საკუთარი ფრთებისკენ" მისწრაფებამ იმატა. ყველაზე პოპულარული კონსტრუქცია იყო საჰაერო ფრანი დელტისებური ფრთებით. ასეთი ფრანით, რომელიც კატარღას მიჰყავდა ბუქსირით, ბევრჯერ გადალახეს ლა-მანში.

1969 წელს ფრანგმა იანის ტომასმა და ავსტრალიელმა ბილ მოისმა ფრთა გააკეთეს ინჟინერ ფრანსის როგალოს პროექტით. ამ კონსტრუქციაში პირველ ყოვლისა ყურადღებას იქცევს ფრენის სამართავი მოწყობილობა. იანის ტომასი ამტკიცებს, რომ ჰაერში პირუეტების შესრულება და პიკირება შეუძლია. მისი ფრენის ხანგრძლივობის რეკორდი 35 წუთია.

ამ საქმეს მიმდევრები გამოუჩნდნენ სხვა ქვეყნებშიც. ჟურნალ „იუ. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტიდან" გადმობეჭდილ სურათზე თქვენ ხედავთ ამერიკელ ჯეფ ჯონს ფრენის დროს. იგი გლეხია დომის (ახალი ზელანდია) პიკიდან დაეშვა და, მიუხედავად ქარის ჭირვეულობისა, ფრენა წარმატებით დაამთავრა.

ვ. საფრონოვი.

„კომსომოლსკაია პრავდა".

გაზეთ „ლელოს" მორიგი ნომერი გამოვა პარასკევს, 10 ნოემბერს.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. [illegible]